







ლოდან გააქცია. სტეპნიაკი მამაცი, შეუბოვარი რევოლიუციონერი იყო, მის გარკინებულ გულს ვერაფერი ვერ შეაქრობდა. მას ღმერთად სწამდა თავის იდეა და მზათ იყო მისთვის თავი გაეწირა. 1873 წელს, როცა მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო პოლიტიკურ ტუსადების წინააღმდეგ, მან მოკლა ჟანდარმთა შეფი მეზენცევი და ინგლისში გაიქცა. აქ მან ხელი მიყო ლიტერატურულ მოღვაწეობას. სწერდა ინგლისურათ რუსეთის რევოლიუციონერ მოძრაობის შესახებ. რუსულათ დასწერა რამდენიმე შესანიშნავი მოთხრობა: „ანდრია კოჟუხოვი“, „სახლი ვოლგის ნაპირზე“ და სხვა. თავის მოთხრობებში სტეპნიაკს უმთავრესათ აწერილი აქვს იმ დროინდელი რევოლიუციონერი მოძრაობა. საუბედუროთ, თავდადებულ რევოლიუციონერს და ნიჭიერ მწერალს არ დასცალდა რომ გაეფართოებია თავის ნიჭი. ის უცბად გაქრა, უეცარმა შემთხვევამ ის საჟღადამოთ მოსწყვიტა ამ ქვეყანას. ერთ დღეს ის უცბადათ ჩავარდა რკინის გზის მატარებელ ქვეშ და მოკვდა. ეს მოხდა 1895 წელს.

## უცხო ვარსკვლავი.

აღმოსავლეთით ამოციმციმდა  
ვარსკვლავი უცხო და მშვენიერი,  
ცხოველი შუქი მოფინა არეს  
და განაცვიფრა მან მთელი ერი.

ქვეყნათ ვილოდენ მეცნიერები,  
ხალხსა აცნობდენ დიად მოვლენას,  
შობილს აწმყოში ვეძიებთ ძესო,  
ეზუნებოდენ ყოელგან ყველას;

ვიხილოთ გვინდა ყრმა იგი ნორჩი  
მარად ძლიერი და უძლეველი,  
მიზეზი ვარსკვლას მოვლინებისა,  
დიად ცხოვრების დამმკვიდრებელი!  
ურიასტანის შეძრწუნდა მეფე  
თავზარი დასცეს ამ საშიშ ხმება  
და კიდევ უფრო შეშინდა იგი,  
როცა ყოველი აცნეს მოგვებმა.

ზე წამოიჭრა ქვეყნის მფლობელი,  
მეფე იროდი, განრისხებული  
და ჩაიღინა საქმე საშიშო,  
საოცარ ამბვათ გადმოცემული...

\* \*

ძუძუ მწოვართა  
ტკბილო დედებო,  
იტირეთ მარად,  
უბედურებო;

იტირეთ მარად,  
შესწყვიტეთ ლხენა,  
ბნელი, შავი დღე  
მოგელის თქვენა;  
ძუძუდან მალე  
შველთ მოგტაცებენ,  
ყლებს დაქრიან  
და აწამებენ.  
უმანკო სისხლი  
შედებაგს არეს,  
თქვენ შვილთ არავინ  
არ შეიბრალებს.  
ოჰ, საცოდავნო,  
ჩჩვილთა დედებო,  
იტირეთ მარად,  
უბედურებო;  
იტირეთ მარად,  
შესწყვიტეთ ლხენა,  
ბნელი, შავი დღე  
მოგელის თქვენა.

\* \*

აღსრულდა იგი ბრძანება მეფას,  
სასტიკი, მკაცრი და ულოპბელი,  
სისხლი იღვრება უმანკო ბავშვთა,  
მწარედ ქვითანებს დედა მშობელი.

ათი-თოთხმეტი ათასი ყრმაი  
დაჰკლეს, გაჟლიტეს შეუბრალებლათ,—  
სისხლისა ღვარებს დედათ ცრემლები  
უერთდებოდენ ნაკადულებათ.

ვერ მოჰკლეს მხოლოდ ყრმა იგი უცხო  
გადარჩა... ხარობს დედა მშობელი,  
აღმოსავლეთის უცხო ვარსკვლავიც  
კვლავათ ციმციმებს, ვერ ფარავს ბნელი

ბ. გელა.

## საუოგაო თაიგული

(მოთხრობა)

I.

თფილისი თეთრ და ხშირ ბურუსში იყო გახვეული; ყინვა მწვავეთ იკბანებოდა. მამა-დავითის გორიდან სქელ ბურუსით გარემუცული მზე ნაღვლანათ გადმოიყურებოდა. ქალაქი მოძრაობდა, ბობოქრობდა; ყველგან სიცოცხლე სდულდა და გადმოდულდა.

საღდათის ბაზარი ხალხით იყო გაქედლი. ყველანი თითქოს, რაღაც ციებ-ცხელებას შეეპყრო, მოუსვენრათ ფუსფუსობდნენ.



ბაზარი აუარებელი სანოვაგით იყო გაქედლი, რომელსაც მუშტარი ბუზივით ეხვეოდა.

პუშკინის ბალის ბოლოში რკინის კარგბთან ატუზულიყო გამხდარი და გაყვითლებული ჯერ ისევ ახალგაზდა კაცი, რომელსაც ხელები დაგლეჯილ. გახუნებულ ფიჯაკის ჯიბეებში ჩაეწყო. დაგლეჯილი, ტალახიანი წაღები და თავზე უშნოთ ჩამოფხატული, დალაქავებული ძველი, რუსული ქუდი მის უშნო შეხედულებას უფრო აუშნოვებდენ. შავი, გაბარდლული, მსხვილი და წინ-წაშვებულა უღვაშები, მის ნაადრევათ ქალარა-შერეულ ასეთსავე მოკლე წვერთან გაერთიანებულიყო. მისი მსხვილ-ნაკვთებანი დასაწყობებული სახე ნახევარზე მეტათ წვერ-უღვაშით იყო დაფარული. შექმუხენილი წარბებმა წინ წამოსდგომოდენ, ჩაცვივნულ, ნაღვლით სავსე პატარა შავ თვალეზე. უცნობი, თითქოს დაუჯაჭვიათო ქანდაკებასავით ერთ ალაგას იღვა უძრავათ გაშეშებული და შეშინებული, თვალებს აქეთ-იქით დაბნეულათ აცეცებდა.

მის გარშემო სიცოცხლე სდუღდა. აგერ მორგგასავით დარგვალებული, კისრის ქონში ჩამძვრალი, ალა სოფლელ ჩაჩხს მოზრდილ, სუფთათ გაწმენდილ ბურვაკს ევაჭრება. მას გვერდით წითელ ახალუხა, ფაფახიანი, სხარტი იმერელი ახლავს მოზრდილ კალათით ხელში, რომელიც გაქედლითა ყვითლათ ჩასუქებული, ქათმებით, ინდაურით და სხვა.

აგერ იქ წარმოსდები ტანის, კაკარდით და ბჭყვრილა ყვითელ ღილებით დამშვენებული ვილაც მოხვლე მუშტრის თვალით დაჭკირკიტებს და ხელში ატრიალებს მსუქნ ბატს. ნავაჭრით დატვირთულეი შინისაკენ სახე გაბრწყინვებულები მიეშურებიან.

აგერ უცნობს გვერდით აუარა თბილი ბეწვის ქურქში შეგრანგილმა ბეწვისაკე მაღალ საყელოში ჩაბუღრულმა ალამ, რომელსაც უკან მძიმე კალათით დატვირთული კურტნიანი აისორი მისდევს. მიდის, მიგორავს ჩამსხვრლებულ-ჩარგვალეზული ალა, მიდის და თან მატარებელსავით მძიმეთ ხვნეშის.

მის დანახვაზე უცნობი ინსტაქტიურათ შეინძრა, თითქოს გამოცოცხლდა; გულ-აჩქროლებული ის ერთხანს შეყოყმანდა, შეფიქრიანდა, მაგრამ ჩქარა თავს დააძალა, ალას მტკიცე ნაბიჯით წინ გადაეღობა და მოწიწებით შემუღარა:

— ხაზენ, გენაცვა! არ მინდა კიდევ თქვენთ შეწუხება, მაგრამ... მაგრამ გულში გენია მიკილია, თავზეთ გზა აღარა მაქვს. ხვალ შობა და ჩემ ბედზე კი კაპეიკიც არ მოიძებნება, რომ ცოლ-

შვილში ცალკერი ლუკმა მაინც მივიტანო. შენი ჭირიმე, ხაზენ, თუმნიდან ხუთი მანეთი მაინც...

— ვა, რა ძაძლა წაიღე დაა, შენამამაცხონებულო, გეუბნები არა მაქვს მეთქი; როცა იქნება, მოგცემ; ახლა დღესასწაულებია, ამ ქესატობაში ფული მე თვითონ მჭირდება; თუ მასესხებ, ძალიან კარგი იქნება—გესლიანის ღიმილით დააბოლავა მან და მის წინ კრძალვით გაჩერებულ მონას გესლიანი თვალები შეანათა.

— შენი ჭირიმე, ხაზენ; შენის ცოლ-შვილის სადღეგრძელოთ, აგრემც ღმერთი მრავალ შობა-ახალ-წელიწადს დაგასწრებთ, ცოტა მაინც. ცოტა, რომ მეც შობა გავითენო, ცოლ-შვილი გავახარო...

კვლავ ისევ მოიკუნტა და მონური მუდართით სახე-დაღრეჯილმა მორჩილათ ქედი მოიხარა ელა-ბატონის წინაშე.

— ვაა, ეს რა ჭირი ყოფილა დააა! აჰა, დაიქი, ამის მეტი არ შემიძლია, ბრაზიანათ შესძახა ალამ, ე ლეტს პატარა ჯიბიდან ათ შაურიანი ამოაპრილა და უცნობს მოწყალეობასავით გულზედათ გაუწოდა.

მუშა თავში დაკრულსავით დაიბნა, ის გაშრა, გაშტერდა, გაშეშდა.

— ჰაა. დაიქი, თორემ მეჩქარება, მიაძახა მას ბრაზ-მორეულმა ალამ და ხვნეშით გასწია თავისაკენ.

უცნობი უცბათ გამოერკვა; ის მსწრაფლ გონს მოვიდა, ათ შაურიანს ეღვასებრ გამოეკიდა და ხელ-უკულმა გამოწვდილი პატარა ღმერთი მუქაში ჩაგრათ ჩაბლუქა.

მას გულზე ცოტა როგორღაც მოეფონა და თავისუფლად ამოისუნთქა, როდესაც ხელში ცივი წყეული ლითონი იგრძნო; მაგრამ ის ჩქარა ისევ სევდამ და ვარამმა შეიპყრო.

ზიზლით, უზომო ზიზლით აღსავსე თვალები გააყოლა მან მიმავალ ალას.

— გამარჯობა ვასო! გეტყობა საშობაო სამზადისში ხარ აი. მხარზედ ხელი დაჭკრა მას ვილამაც—უზურში, ხვალ შენი წვეული ვარ; ჩვენებურათ, ძველებურათ ერთი კაი ლაზათიანი ქეიფი გავატაროთ; აბა შენ იცი; ღიმილით ეუბნებოდა ის თვის მოსაუბრეს თვალეში გაკვირვებით ჩასცქეროდა, რომ იქ ნამდვილი, უსიტყვო პასუხი ამოეკითხნა.

— მოდი, მოდი ჩემო ნიკა; რასაც ღმერთი მომცემს, დაგიხდები,—უგულოთ მიიპატიჟა ის ვასომ, რომელიც თვალებს აქეთ-იქით უაზროთ აცეცებდა მას თითქოს ძალიან მძიმე ლოდო მოეხსნა, როდ-



საც ამხანაგი გაშორდა.

II

ლამის წყვილი ბნელ ზეწარსავით გადაჰბუროდა უზარმაზარ ქალაქს, რომელიც ურცხვ ვარსკვლავებსავით სხვა და სხვა სანათებით მოჭყდილ-მოქარგულიყო; ის კვლავ ბობოქრობდა; მღელვარებდა, გრგვინავდა.

დაბლობ გორაკის ფერღობზე; ნესტიან პატარა ოთახში მაგიდას მისჯდომოდა, ხელებზე დარდნობილი უქრავათ იჯდა ვასო. ის მაგიდასთან ერთათ თითქოს შესისხლხორცებულაო, ქანდაკებასავით გამოკვალთულ გამოქრილი სამარესავით მღუმარებდა.

მის პირდაპირ პატარა ტახტზე მისი გაწამებული ცოლშვილი ლოგინში მოკუნტულიყო. დედას ზაწია შვილები აქეთ-იქით მაგრა ჩაჰკროდენ, ჩახუტებოდენ. ქორფა ძუძუ მწოვარა ბავშვი რძე-გამშრალ, ცარიელ ტყავათ ქცეული გამხმარ ძუძუს დაჟინებით ლოდნიდა. სამარისებულ სიჩუმეს მხოლოდ მძინარეთა ნელი ფშვინვა არღვევდა.

ვასო საშინელ ფიქრებს შეეოქა.

სიცოცხლე გამიმწარდა, ცხოვრება სულ მთლათ მომეშხამა,—ფიქრობდა ის თავის გულში—ცხოვრების გზა დამეცარა, ამეწეწა, თავ-გზა დამებნა, გასავალი აღარსაითა სჩანს; ყველა გზები ჩემთვის შეკრულია, ჩახერგილია; თავ-განწირვით აქეთ-იქით ვაწყდები, მაგრამ ამაოთ ყველგან გულ-გრილობა გაუტანლობა, დაცინვა... ჰმ, ჰკუა მერევა, აზრთა დენა შეხშობა, მეფანტება; თავი მიტეუს, ტვინი მეწვის, მედავვის, ხვალ შობა თენდება, შობა თენდება და მე კი ლუკმა პურაც აღარა მაქვს. როგორ გინდათ, ლუკმაც აღარა მაქვს და ეს სრულებითაც არ უშლის სხევებს, არ უშლის ჩემ აღაბატონსაც, რომ ქრისტეს შობას, იმ ქრისტეს შობას, რომელმაც ქვეყნათ სიყვარული, ძმობა და თანასწორობა იქადაგა, რომელიც ჯვარზე ავიდა და მით თავის უმანკო სისხლით აღბუქდა თავის დიდებულ მოძღვრება, ეს არ უშლის სხევებს, რომ მაძლარი, კმაყოფილი ცოლ-შვილით მხიარული შეეგებენ ქრისტეს შობას, ერთი-მეორე საყვარულით ჩაჰკოცნონ... მათ არც კი უნდათ ჩემი უზომო ტანჯვის გაგება, მათ არც კი უნდათ, რომ ჩემ გენია-მოდებულ, ჯოჯოხეთ გულში ერთი წამით მაინც ჩაიხედონ. მოდი შენ ჩემო თავო მოითმინე ის რომ ხვალ ბავშვები წამოცვივან და ხელებში დაგიწყებენ ცქერას უსიტყვოთ, უსაყვედუროთ... მოდი შენ და უცქირე, გულ-გრილათ უცქირე მათ... ხა, ხა, ხა, ჯოჯოხეთურათ ჩაიხიხითა მან თავის გენია მოდებულ გულში... მოვალე ვარ, მოვალე ვარ ჩემი ცოლ-შვილისა; მაგრამ რა ვქნა, საით წავიდე, რა

წყალში გადავარდე, როცა გზას არსაით არ მაძლევენ, როდესაც ხელ ფეხ-შეკრული ტყვე ვარ; დამრჩენია მხოლოდ უმწეო, საბრალო გმინვა, ტირილი.. უღმობელი, გულ-ქვა და დაუნდობელი ყოფილი ადამიანი.

ცოტა ხნის შემდეგ თითქო ის ფიქრებიდან გამოერკვა. ნ ღვლიანი, თვალები საკემელს მიაჩერა, საიდანაც შეგ ბნელ ცის ტატნობზე შავათ ამართული მამა-დავითის გოგა ოღნავ მოჩანდა. მის თავზე შეგ ღრუბლებში ერთად-ერთი ვარსკვლავი გამოკრთადა, რომელმაც ვასოს ყურადღება ძალაუნებურათ თავისკენ მიიზიდა

— ეს ვარსკვლავი ჩემი ბედის ვარსკვლავი უნდა იყვეს; დახეთ ის როგორა თრთის, როგორ ციმციმებს. დახეთ როგორ ებრძვის, სამკვდრო სასიცოცხლოთ როგორ ებრძვის ის ზედ მისეულ შავ-ბნელ ღრუბელთა გროვას. დახეთ, დახეთ ის როგორ მიილია, ხშირი სიბნელე მას თანდათან სძლევს, ნთქავს.. ის კი კვლავ თავ-განწირვით კრთის და ციმციმებს, ებრძვის სიბნელეს, სიღუბნურეს... აგერ ის სულ მთლათ მიილია, ოღნავ-ლა ბეუტავს, ძლივს და სჩანს. ცოტაც და... ის უკვე ჩაქრა, წყვილადში შთაინთქა!..

— ჩაქრა, შთაინთქა,—ხმა მალლა ამოიგმინა მან და თითქოს გული თან ამოაყოლა. მის გულშიც სასიცოცხლო იმედი ამ ვარსკვლავსავით ჩაქრა, ჩანგლდა; გული სულ მთლად ჩაიხურა, ჩაიკეტა და შიგ მხოლოდ სამარესავით შავმა წყვილადმა დაისადგურა.

ვასოს თავ-ბრუ დაეხვა.

— არა, ასე არ იქნება; კმარა; უნდა ჩაქრეს ჩემი სიცოცხლაც, უნდა ჩაქრეს იმ ვარსკვლავსავით... უნდა ჩაქრეს, ჩაქრეს ერთხელ და სამუდამოთ... ხა, ხა, ხა, გესლიანათ, ჩაიხიხითა მნ და ამღვრეული, სისხლ-მორეული თვალები გიუურათ გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— მაგრამ ცოლ შვილი? ჰმ... ესენი, სულ კი ესენი არიან დამნაშავე, სხვა არავინ!.. სულ ამათი ბრალია; რათ გაჩნდენ, რათ დააბადენ?! განა ასეთ ჯოჯოხეთურ წამეისათვის?! მაშ, სჯობს სჯობს, სჯობს ესენიც ჩავაქრო, ჩავანელო და მით ერთხელ და სამუდამოთ გავანთავისუფლო, მოვარჩინო!..

შეშლილსავით თვალებ ფართეთ დაღებულ იმ ფეხის ფრჩხლებზე აიშართა, გაიძაბა, კისერი წაიგძელა; ფრთხილათ, ქურდულათ მიიპარა კარებიდან, ნაჯახი აღღონელ-ნელა მალლა შემართა... და მძინარე ცოლ-შვილს დაუპირდაპირა.

პატარა, საყვარელი ბიჭუნა მისკენ გადმოატრიალდა ნაზათ, ტკბალათ გაიღიმა ძილში.



ვასო მოიღუშა, ხელები მოსწყდა, მუხლები  
ჩაეყეცა... ცოცხალ-მკვდარი ის ფრთხილათ კარში  
გამოვიდა და ნაჯახი შორს გადასტყორცნა.

ქალაქს კვლავ ბნელი ზეწარი ეფარა; სამარი-  
სებურ იდუმალბებს მოეცვა მალლა ცა, ძირს დე-  
დამიწა. მამა-დავითის გორის თავზე ვარსკვლავი  
აღარა სჩანდა.

ვასო გარეთ გავიდა სამზარეულოს კარები  
ფრთხილათ გააღო და შევიდა შიგ. მის გულს და-  
გა-ღუგი გაჰქონდა, სულ თქმა უძნელდებოდა.  
სიბნელეში ხელის ფაჯურით იპოვა მან სარეცხის  
გასაფენი თოკი, ორ-პირათ გააკეთა და გამოაყურ-  
თმაჯა; შემდეგ მან მონახა ტაბურეტკა, შუა ად-  
გილას დადგა და ზედ ფრთხილათ შედგა, თოკის  
ერთი წვერი ქერში დიდ ლურსმანზე ჩამოაბა...  
წამიც და მან თოკის ყურთმაჯი ყელზე ჩამოი-  
გდო, შემდეგ ტაბურეტკას წიხლი ჰკრა... ყრუთ  
გაისმა წაქცეულ ტაბურეტკის ხმა, რომელიც სა-  
მზარეულოშივე ჩაინთქა, ჩაიმარხა .. ბნელ წყვლია-  
დში ვასომ კი თოკზე იწყო პროწილი და ფარ-  
თხალი.

III

... სძინავს ვაროს, სძინავს და სიზმარში ხე-  
დავს, რომ მის საყვარელ ვასოს მ-სთვის ს-უცხო-  
ვო საკაბე და ბავშვებისათვის სადღესასწაულო  
ტანისამოსი უყიდნია. ვაროს გული სიამოვნებათ  
უტოკავს, სიხარულით ფღვივის. ის ხან ვასოს,  
ხან ლამაზ საკაბეს შეჰღიმ-ს, აუარებელ სანოვა-  
გით გაქედილი კალათიც; უჰ, რამდენი რამ არის  
შიგ ჩალაგებული: ქათმები, გ-ჭი, ინდაური,  
ბატი და სხვა

აგერ ვასოს პატარა შობის ხეც მოუტანია  
ბავშვებისათვის და სამზარეულოს შუა ადგილას  
მალლა ქერიდან თოკით ჩამოუკიდნია; პ-რ-მოლი-  
მარი ვასო ბავშური სიხარულით აღტაცებული  
მშობლიურის მზრუნველობით უმზადებს ბავშვებს  
საშობაო თაიგულს: ფრთხილათ, ნაჯათ ატრიალებს  
ის ჩამოკიდებულ თაიგულს და ზედ სხვა და სხვა  
საბავშო ლამაზ სათამაშოებს და ფერად-ფერად  
კონფეტებს ჰკიდებს. ბავშვები სიხარულით ფეხზე  
აღარა დგანან. პატარძალსავით მორთულ-მოკა-  
ზმულ შობის ხის გარშემო დახტიან, ჭიკჭიკობენ,  
ვასო კი კვლავ გულ მოდგინებით ამზადებს საშო-  
ბაო თაიგულს...

ესმის, ხედავს ვარო ყველა ამას და გული ნე-  
ტარებით უჩქროლავს და მოუთმენლათ ელ-ს შო-  
ბის გათენებას...

მტრედის ფრათ ინათლა. გამოიღვიძა ტკბი-  
ლი სიზმრით მოხიბლულმა ვირომაც და ჯერ ისევ

არ გამორკვეულიყო სამზარეულოსაკენ ტკბილის  
ღიმილით გაეშურა...

ს. პართენაშვილი.

# ახ. ერთხელ კიდევ რომ დამენახე!

(სონეტები.)

I

ახ, მახსოვს, მახსოვს, ნაკადის შირათ,  
სადაც ვგაფოდა ნაზი ბუნება,  
ვიჯექ ოცნებით გატაცებული:  
შენ გიგანები, ჩემო ღვთაება!  
მოუფლდნელათ სხე ნათელი  
თვალ წინ დამიდექ, ვით ბადრი მთვარე,  
გაიკაშკაშე, გაფანტე ბნელი,  
მიდამო ტურფათ აუღვარე!  
ზეწაშოვარდი, გავშალე ხელი  
მინდოდა გულში ჩამეკარ მწველი,  
მაგრამ მსწრაფლ გაქრი, გაეკარ ცასა,  
როგორც ღრუბელი მსუბუქ-ფრთოსანი,  
შე აქ დამაგდე შენი მგოსანი  
და მიეფარე, მნათობო, თვალსა!

II

ერთხელ ვვლავ მოგკარ თვალი სივრცეში:  
ღრუბელთა ეტლში იჯექ, მიქროდი,  
ვარსკვლავებს კრეფდი მტრემცემეს  
და მით მშენებერ გულ შეკრდს იმეობდი!  
გამოვიდექი ოცნების ფრთებით.  
მაგრამ ვერ დაგწყვდი, ლაყვარდს მიფარდბ.  
ახ, არ მედინსა, რომ შეთქვა შენთვის —  
როგორ მამწონდი, როგორ მიფარდი!  
ბევრა გვედრე, ბევრი გეძახე,  
ბევრი ვიკუნესე და ვიფაგდებე,  
მაგრამ, სუფიგო, ვერ გაგაკნე  
და გულ მოკლული, გაეშინანი,  
სევდით მოსული, თვალ-ცრემლიანი  
მიწას დაგაწედი, დაგვარგე დონე!

III

მ-ს შემდეგ, ჩემო გულის ვეგვიდო,  
ლაყვარდ სივრცეში, ტყეში მთა-ბერათ,  
დარში ავდარში, დღისით და ღამით  
გაფრთხილებით დაგეკებ მარად,  
მაგრამ ამათ: ვერ მოგვარ თვალ  
შენს ნათელ სხეს, ტურფათ გაბადრულს,



და კაქსნი, სულის მდრდნეა,  
 ადარ ცილდება დაბეჭებულ გულს!  
 ახ, ერთხელ კიდევ რამ დაქნახე:  
 გამიქრება გულს სივარჯახე,  
 სიხარულითა ცას მივსწვდებოდი,  
 თეთრ-ფრთიან დრუბლათ გადავიქცეოდი,  
 რაკორც მთას ნისლი, მკგებუვეოდი  
 და სამუდამოთ თან წაგვეგებოდი

IV

სადა გაქვს, სადა მუდმივი ბინა?  
 სად დანავარდობ? სად დაჭიკტიკობ!  
 მიწას კუთვნი თუ ჭაყვარდ ცას?  
 სარყარს რამეჲ კუთხესა აშკობ?  
 რადის ეწვევი ჩემს ობოლ ბაღს,  
 ბრადის თითებით მისწვეტავ ვარდსა,  
 გულზე დამაბნევე შენს ერგულ მკასნს,  
 გამიქრებ სეგდას, გამიქრებ დარდსა?  
 შენთვის ავაწყე ჩანგი წკრიადა,  
 არ დამიზოგავს ნიჭი და ძადა...  
 მადი, ისმინე ციური ხმები  
 და ბნელოთ მცდულს, ნათელი მფინე,  
 ამაფრთავანე, ზე ამაფრინე,  
 სიხარულისა შემასხი ფრთებით!

გ. რუხადე.

სალიტერატურო მიმოხილვა.

III

როდესაც ქაბუკის გულში სიყვარულის გრძნობა აღიძვრის ნათლათ, მკაფიოთ ან ბუნდოვანათ, ეს გრძნობა სტიქიურათ მოითხოვს თავის გამოსახვას, გამოაშკარავებას, განსახოვნებას პოეზიაში. თუ სიყვარულით შეპყრობილი ერთხელაც მინც არა სცდის, თავისი გრძნობა პოეზიაში ჩაშლისას, მას ან არ განუცდია ღრმა, მწვავე, ძლიერი გრძნობა სიყვარულისა, ან იმ წლოვანებაშია, როცა მშრალი გონება ყოველ გრძნობას იმორჩილებს და მას თავის სილამაზეს, გიჟურ გატაცებას და სიძლიერეს აცლის.

პოეზია ნაყოფია სიყვარულისა. იქ, საცა სიყვარული არ არის, პოეზიაც არ არის. ხოლო იქ, საცა სიყვარულია, პოეზიაც ყოველთვის არის.

პოეტი შეყვარებული ადამიანია. ყოველი თვისი შემოქმედების დროს ის უსათუოდ განიცდის ამ გრძნობის სიხოველეს.

რაც უფრო ძლიერია პოეტი, მით უფრო

ძლიერია და ცხოველი იმისი სიყვარული. და რაც უფრო ძლიერია იმისი სიყვარული, მით უფრო მშვენიერი, წარმტაცა და მომჯადოებელია იმისი პოეზია.

ვაჟა-ფშაველაც შეყვარებული პოეტია—პოეტის სიყვარულის საგანი მისი სამშობლოა. აიღეთ მისი პოემები, მისი წვრილი ლექსები—ყველგან აშკარათ, ნათლათ ან მალულათ გატარებულია სიყვარული სამშობლოსადმი. ძლიერია პოეტის სიყვარული სამშობლოსადმი; ძლიერია სამშობლოს უბედურება; ამიტომ ძლიერია ვაჟა-ფშაველას სევდაც. ეს სევდა არ არის წყნარი ვით სალამო, მშვიდი ვით მარადისობა. მეოცნებე, ვით ზღვის ნიაფი, — ის მეზრძოლია, მაგრამ რადგანაც ხელფეხი შებორკილი აქვს და ხსნა არსით არის, შინაგანი ძალა და ბრახი მას ცრემლებათ აღნობს.

თუ სამშობლოს აწმყო მდგომარეობა პოეტს სიცოცხლეს უწამლავს, დაბადების დღეს აწყველინებს და თვალთაგან ცრემლთა ზღვას აღენიჭს, სამავგროთ სამშობლოს მთები პოეტს ნეტარებათა და სიხარულით ავსებს, ავიწყებებს თავის მწარე აწმყოს და მაშინ მისი ფანდური ისევ ლაღათ ჰგალობს ციურს ხმება, ისევ უსაზღვრო იმედებით იჟენთება.

ვაჟა-ფშაველას ისე უყვარს მთა, როგორც ბუღბუღს ვარდი, იას მზის შუქი, შეყვარებულს თავისი სატრფო. ვაჟა ფშაველას სატრფოც მთა არის.

შენგნით იხარონ ვერხვებმა  
 დეკა, ურძანთა, ღვიათა  
 კლდეთა—უნეო ჩემ სატრფოთ.

აი როგორის სიტყვებით მიმართავს პოეტი მზეს.

კლდეზე ვარ დაფუძნებული  
 უზრეტს მაწოვებს ნექტარსა.

მოგვითხრობს პოეტი. და მართლაც პოეტის ნიჭის სიღრმე-სიძლიერე, მთელი წარმტაცი, მოხიბლავი სინაზე, სიმშვენიერე იმისი პოეზიისა მაშინ აშკარადდება, როდესაც პოეტი მთებს და კლდეებს დასტრიალებს, მთა-კლდეებს აგვიწერს.

ვაჟა-ფშაველა ბუნების საუცხოვეო მხატვარია და მთის აღწერაში მას ტოლა არა ჰყავს.

ვაჟა-ფშაველას მთელი მსოფლიო მთაშია მიქცეული; თუ მთა აქვს პოეტს, სხვა მას არა უნდა რა. პოეტი ყოველისფერს დათმობს, მთას კი —ამ უნო თავის სატრფოს—ის ვერ დასთმობს, ვერ შელევთ.

ვაჟა-ფშაველა მთის პოეტია. მთა ვაჟა-ფშაველას პოეზიაში უსულო, უგრძობელი, მკვდარი ნაწილი კი არ არის ბუნებისა, —ის ცოცხალია,



პფიქრობს, გრძნობს, თავისი საკუთარს ცხოვრებითა სცხოვრობს. ვაჟა-ფშაველამ მათს სული ჩაჰბერა, გული ჩაუღვია. გრძნობით შეჰოსა, ფიქრით შეჰბურა.

ნისლი პოეტის წარმოდგენაში ურალთ ანართქლი კი არ არის მიწისა,—

ნისლი ფიქრია მთებისა.

მთელი თავისი უსაზღვრო სიყვარული მთებისადმი, მთელი სიმშვენიერე მთელი ცხოვრება, მთელი პოეზია მთებისა ვაჟა ფშაველამ გამოჰხატა, გამოჰკვეთა „დაუსრულებელ კენესაში“ აღის სახით.

საზარელია ეს მხარე  
ზავით მზარავი კაცისა...  
როცა კი შემოინდლება  
კისკისი ისმის აღისა,—  
ამ მომზიბლავის, ცბიერის  
ტურფა, თმა-ხშირის ქალისა  
კლდიდამ რომ დაბლა სიპებზე  
ჩხრიალი ისმის წყალისა,  
თავს უპყროს კლდისა ნაჟურსა  
მატყვევებელი თვალისა;  
გადაიფარცნის ქოჩორსა  
ჩამოპოხილსა ნამისა,  
და შეუბურავს საროს ტანს  
ჯანდი ნაწნავთა ჯარისა.  
შუადამემდე აქა ზის,  
ტბილათ დაჰმდერის არსა.  
მკვდართ სულთ აშლამდის ლხინშია  
შესტრფის ამ კლდიან მხარესა,  
უჩვენებს ელვის კბილებსა  
ცაზე გადმოსულს მთვარესა.  
მთვარე რომ ჩავა ვარსკვლავნიც  
თითოობითა ქრებიან,  
ცაში ზარს დაჰკვრენ ცისკარისას  
ცოდვილთ სულები ჰკრთებიან  
და მკვდარნიც საფლავებდამ  
სასიერნოდა დგებიან.  
მაშინ კლდის ქალი, ეს ტურფა,  
წავა ნაბიჯით სწრაფითა;  
შეივლის შავსა ქანჩანებს  
გალიპულს წყალთა ქაფითა,  
ბნელს მღვიმეს მოეფარება  
სიბის კარების ჩქაფითა...  
ცა გაიბურვის ნისლებით,  
როგორც მურით და ლაფითა

ამ ნაწყვეტში ყოველი სიტყვა მარმალილოდან არს გამოჰკრილი, გამოსკვნილი მშვენიერებაა და მთელი ლექსი ისეთი ღრმა, წარმტაცი და საოცნებო პოეზიაა, რომ ავტორი ესოფლიო პოეტებს ეტოლება, უთანასწორდება. გარეგანი ფორმა, ენის მხატვრობა, ლექსთა წყობა, მუზიკალობა და აზრი ისე შეწყობილი, შეზომილი და შეთანხმებულია ერთმანეთში, როგორც მარმარილოს უკვდავ ქანდაკე-

ბაში. ეს მახინჯი, ჯუჯა-ტანის, ფეხებ დაოორკვილი და თმა გაბურზგვნილი ნაყოფი ხალხის შეშინებული წარმოდგენისა პოეტმა გადააქცია იქნ მშვენიერ მომზიბლავ, ტურფა და თმა-ხშირ კლდის ქალათ, რომელსაც უმზერ სულიერის ნეტარებათ აღტაცებული და თვალი ვერ მოვიშორებია.

ამ ლექსში იხატება პოეტის ნიქის ერთი თვისება—სიმბოლიზმი.

სიმბოლიზმი წარმოადგენს მთელ განსაზღვრულ მიმართულებას ევროპის ლიტერატურაში. ია დაიწყო პირველათ საფრანგეთში და შემდეგ გავრცელდა მთელს ევროპაში.

სიმბოლიზმი მწერლობაში მეტათ რთული მიმდინარეობაა და მის ქვეშ მრავალი სხვა და-სხვა მცნება იყრის თავს.

სიმბოლისტებს უწოდებენ იმათ, ვინც სრულებით უარჰყოფს ცხოვრებას და მხოლოთ თვისი ოცნებებიდან იღებს სახეს თავისი პოეზიისათვის. სიმბოლისტებს უწოდებენ იმათ, ვინც პოეზიის ფორმას, სტილს აქცევს მთელ ყურადღებას და არა აზრს. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც ყოველივე ჩვეულებრივს უარჰყოფს და თავისი პოეზიის საგნათ არა-ჩვეულებრივს იღებს. სიმბოლისტებს უწოდებენ მათ, ვინც მკაფიო, გამოკვეთილ, ყველასათვის ადვილათ გასაგებ აზრს უარჰყოფს და პოეზიაში გამოსთქვამს ბუნდოვან აზრს, რომელიც ყოველ მკითხველს თავისებურათ ესმის. სიმბოლისტი ეწოდება მასაც, ვინც რაიმე განყენებულ აზრს ან მოვლენას განსაზღვრულ სახეში ჩამო სხამს, გამოჰხატავს.

აღი, კლდის ქალი ნამდვილათ არ არსებობს. კლდის ქალში ვაჟა-ფშაველამ გამოხატა, გადმოგვცა მთელი ცხოვრება, მთელი ბუნება მთებისა: წყლის ჩხრიალი მთებში, მთვარიანი ღამე, თოვლით დახურული მწვერვალების ელვარება მთვარის შუქზე, ხევების ხმაურობა, სიო მთებში, ხეების რხევა, ფოთოლთ შრიალი, მათის მწვერვალთ ნისლი და ქედებზე დაფენილი ღრუბელი, ელვა, და გრუხუნნი,—ერთის სიტყვით მთელი ცხოვრება, მთელი ბუნება, მთელი სურათი მთებისა, ყველა მოვლენა ბუნებისა მთებში, მთელი პოეზია მთებისა ვაჟა ფშაველამ გამოჰხატა ერთ სახეში—კლდის ქალში ანუ აღში და აი ამ მხრივ ის სრული სიმბოლისტია.

ივ. გომართელი.





# მწუხარება

ტურფა დილა... მზე, ცის ტაიჭი  
 დაჟვარდა ცაზე ღაღათ სრიალებს,  
 სხივთა კონებსა უხვით უგზავნის  
 არეს გათმოდს, განატალებს.

ტყის იდუმალთ შრიალი გააქვს  
 ბარდი კაკლურებს ტურფათ ფურჩქვნით  
 ნაჭის ტიტინით მას გარს ევლებს  
 და უაღესებს ნიაკი გრილი.

გრძნობა სინაზის ისარ ნაკები  
 ბუფბუღა უხვით აუღერებს ჩანგს,  
 ცეცქი ნაკადა ჭკვლთა ღივილით  
 თვისკენ იტაცებს მომხიბლველ ჭანგსა.

ისევ დაღამდა... მტრედის ფერ ცას  
 შავ ღრუბელთ რიდე გადაჟვარა,  
 ტყემ დაიკვნესა, გამოძახილმა  
 საზარელი ხმა შორს მაიმუკვარა.

ბედში ბუფბუღას ხმა ჩაეკმინდა  
 ნაზსა კუკურში ჩაჭვნა უგავილი,  
 გრიალებს ქარი და მქენჯნავ ხმებით  
 მას უერთდება უგავის ჩხვილი.

წველიად დამესა და ხათვლ დღეშიც  
 გუფი სევდებით მაქვს მობურვილი,  
 ჩემთვის ცნობადის უცხო სილა  
 ფაქიზი რწმენის ტაბილი სახმილი  
 მარადის ფიქრი გაჭირვებაზე  
 სიმევირცხლეს მტაცებს, ძაღზე მამიძებს,  
 მაშვრადთა ტანჯვის მწვავე სურათიც  
 მას დასტურსა სცემს და მისამომრებს.

იმედის ხმები ვი არსით ისმის  
 არ უნანს ბოლო ცრემლს ამდუღრებულს,  
 უხმო სიტყვებით ბედი დაგვცინის  
 როგორც მძლეველი თავისსა ძლეულს.

დ. თურდოსპირელი.

## შავი მიხა

(დასასრული იხ. „სხივი“ № 2).

### III

აღმოსავლეთი ცეცხლივით აწითო. ბნელი,  
 ჯადოსნური ზეწარი მოიშუბა, ნელ-ნელა მოსძვრა  
 სულგანაბულ ქალაქს, გაიძაბა, ქურდულათ გა-  
 დაწვა ხევ-ხუვში და გაიპარა. თოვლით შეფიფქულ

მთის მწვერვალს იქით ნელ ნელა ამოცურდა დი-  
 დებული მნათობი, მისა პირველი სხივი კეკლუცათ,  
 მკვირცხლათ გადმოწვა მთის მწვერვალზე და ღამის  
 რთვილისაგან დასველებული სმაჭამეთის სახლის სახუ-  
 რავეები აალაპლაპა. აფუთფუთდა, ახმაურდა მიძინე-  
 ბული ქალაქი. კვლავ აღუღდა სიცოცხლე. ქუჩებში  
 გაისმა აჩქარებული ფეხის ხმა. ადამინები დღიურ  
 ლუკმა პურისათვის მიეშურებიან, მიუტოვებიან  
 თფალი ლოგინი, მყუდრო ბინა და მიეშურებიან  
 სადღაც, რომ გაიძღონ კუჭი, ასიამოვნონ გრძნო-  
 ბა გონება და ბოლოს ისევ ტკბილ ძილს მიეცენ, რომ  
 ძალ-ღონე მოიკრიფონ ხვალანდელი დღისათვის.

აი ქუჩაში გამოჩნდა ორი კაცი. მათი გახუ-  
 ნებულა ფიჯაკი და ჩამოფაფხული ქუდი აშკარათ  
 მოწმობს, რომ ცხოვრება მაინცა და მაინც არ  
 სწყალობს მათ. დილის სუსხისაგან საცოდავით მო-  
 კუნტულან, ხელების ფშვნეტით სადღაც მიეშურე-  
 ბიან და ვაცხარებით რალაცაზე ლაპარაკობენ.

— წარმოიდგინე, კაცო, დღიურათვიდებ ოთხ  
 აბაზს და აბარა უნდა მიქნას, ხუთი სულის პატ-  
 რონ კაცს. მინდა ზედ მეტი ვიმუშაო, მაგრამ რომ  
 არ მანებებენ ამხანაგები? ეჰ! მახლას. დღეს იმდე-  
 ნი მლანძღა სახლის პატრონმა, რომ სირცხვილი-  
 საგან დავიწვი.

— ეჰ! შენ ჩემი ზნდა იკითხო, ჩემო გოლა!  
 სულ რვა სული ვართ. დღიან ღამიანა ვმუშაობ,  
 მარა მაინც მწივრები ვართ. იმდენი ვერ მიშოენია,  
 ბიჭო, რომ პერანგი გამოვიცვალოთ. — ჩა-ღაპა  
 აკა მეორემ და უიმედოთ ხელი ჩაიქნია.

ისინი მიუახლოვდნენ ღვინის სარდაფს და ინ-  
 სტიქტურათ შეჩერდნენ, თავი მიბრუნეს და ცალი  
 თვლით გადახედეს. სარდაფს თითქოს ის იყო და-  
 ელო პირი, დახლზე ჩამწკარავებული სხვა-და-სხვა  
 სასმელების ბოთლები ისე გამოიყურებოდნენ, თით-  
 ქო ეპატაყებოდნენ გაწვლელთ.

უცნობებმა ინსტიქტურათ ხელების ფშვნეტა  
 დაიწყეს და ერთი მეორეს შეხედეს.

— ჩავცეცხლოთ?

— ჩავცეცხლოთ! კარგია ამ სიცოცხეში, — იყო  
 პასუხი.

ორივე უცებ სარდაფის დაღრენილმა პირმა  
 შთანთქა.

აგერ ქუჩაში გამოჩნდა რამდენიმე დედაკაცი.  
 თავები თეთრი ხელსახოცებით წაუკრავთ და ხელ-  
 ში ყესტის თუნუქება უჭირავთ. შეჩერდნენ და გა-  
 აბეს ბაასი. ეს მერძევე დედაკაცებია.

— ავღოტია! — დაიწყო ერთმა პატუა ცხვირიან-  
 მა და ქრელ-თვალა დედა-კაცმა, — რომ იცოდე რა  
 დრო გვატარეთ გუშინ! ჩემმა ნათლიამ დაგვპა-



ტიუა და ისეთი ვიზიარულეთ, რომ შენი მოწონებული.

— ეჰ! რა გიჭირს, — გაეხმაურა მეორე — ნეტავი შენ, სადაც გინდა წახვალ! რამდენი ხანია კაბა მინდა შევიკერო და იმდენი ფული ვერ მომიგროვებია, უბრალო ჩიტი ვიყიდა.

— რა ღმერთი გაგიწყრა. ჩვენზე ნაკლებ რძეს არ ასაღებ და კაბის საყიდელი ფული ვერ მოაგროვებ ამდენ ხანს?

— ვერ მოვაგროვე. ჩემი მუშტრები ყველა ღარიბ-ღატაკებია და ყველას ნისიათ მიაქვს რძე. ნისიის აღება კი ერთი უბედურებაა. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ, გპირდებიან და გადის თვეები.

— შენ უნდა იკითხო რა მუშტრები მყავს მე. უმეტესათ ერთი ქალბატონი. როცა მივალ ხოლმე, მუდამ სამხარეულოში ჩაით გამო მასიპნძღდებიან. ამას წინათ ისეთი კაბა მიჩუქა, რომ პრინცის ცოლს ეკადრება.

— ნეტავი შენ!

მოსაუბრენი ერთმანეთს დაშორდენ.

— მაწონი მაწონიიი! ჰაცე! — გაისმის სოფლიდან ჩამოსული გლეხის ჩახრინწიანებული ხმა და ზანტათ მიერეკება მაწონის ქილებით დატვირთულ გამახდარ სახედარს.

— ახალი ბულკიი!

— დაკლული ბატიი!

— ნახშირი, ნახშირიი!

— ძველი ტანისამოსი!

— კვერცხი! კვერცხიი!

გაჰკვივიან აქეთ-იქიდან.

აგერ ქუჩაში გამოჩნდა წმინდანის სახის ადამიანი. ყვითელ ფოლაქებზე და კაკარდიან ქულზე ეტყობა, რომ ის რომელიმე დაწესებულების მოხელეა, ცალი ხელი სიფრთხილით ჯიბეში ჩაუდვია, მეორე ხელით მაგრათ მიუკრავს გულზე პორტფელი, თითქო საყვარელი არსება ჩაუკრავსო და მიეშურება დაწესებულებისაკენ, რომ ყლაპოს მტვერი და დაუსრულებელათ ჯღაზნოს ქაღალდები. მის სერიოზულ სახეზე აშკარად აღბეჭდილია, რომ ის ბღწვის, დიდ საქმეს აკეთებს.

ქუჩაში მხოლოდ მაძღარი, კმაყოფილი ადამიანები არ სჩანან. ისინი ჯერ ნახათ გორაობენ რბილ ლოგინში, ანებივრებენ თავიანთ სხეულს, სტკებნიან ოცნებით, — მათ მაგიერ ქუჩაში სხვები გაჰკვივიან, სხვები მიეშურებიან საქმეზე.

ქალაქი თან და თან ახმაურდა, მოძრაობამ იმატა, ყველა სადღაც მიეშურება. ყველას თავში ერთი აზრი აქვს ჩაჭვდილი-დღიური ლუკმა, დღიური სიამოვნება, შემდეგ ძილი, მოსვენება

და ასე დაუსრულებლივ.

ბენდუკეთის ქუჩაზე კანტიკუნტათ დაღიან ლუკმის მაძ ებელნი. თითქო ეს ქუჩა რაღაც ჯადოსნურ ძალას შეუპყრია, თითქო ემინიათ გამვლელ გამომვლელთ. აკერ მოსახვევში გამოჩნდა ორი კურტნიანი მუშა და ზღაზვნით გამოსწიეს. დაკვირვებული თვალი მათ შეატყობდად, რომ მათი მოელვარე თვალები დაკვირვებით ათვალაერებენ ყველაფერს. ისინი მიუახლოვდენ ორ სართულთან სახლს და პირდაპირ შეჩერდენ.

— აი აქ დავსხდეთ ძამია! — ჩაილაპრაკა ერთმა. სიფრხილ თ მოიხსნა თავისი კურტანი და ნელა დასდო ძირს. ასევე მოიქცა მეორეც. ორივე ჩამოჯდა ქვაფენილზე და ხელსახოცში გამოკრული პური და ყველი ამოიღეს.

— აბა, უკანასკნელ საუბრეს შევექცეთ ვანო — ნელის ხმით წარმოსთქვა ერთმა.

— იქნებ მართლაც, რომ უკანასკნელი იყოს, ჩემო მოსე — ნაღვლიანათ ჩაილაპრაკა ვანომ.

ორივემ უაზროთ აიღო თითო ლუკმა და პირში ჩაიდეს. თითქო ლუკმა ყელში გაეჩხირათ, ორივე გაჩერდა და ფიქრებში გაიტაცა. ვანო შორს, შორს გაიტაცა ოცნებამ. მოაგონდა თავისი სოფელი, დედ-მამა, სახლ-კარი. მოაგონდა თავისი ბაშვობა, როგორ ღალათ და ნებივრათ სცხოვრობდა თავის დედ-მამასთან, როგორ შეხაროდა დილის მზის სხივებს, მდინარის ჩხრიალს, ჩიტების საამურ ჟღერტულს ცას, ქვეყანას. ოჰ! რა ტკბილი იყო მაშინ ცხოვრება. ვანო სიხარულის მეტს არაფერს არ გრძნობდა. მისთვის სხვა არაფერი არ არსებობდა ქვეყანაზე. გარდა საკუთარი სიამოვნებისა, მისთვის მთელი ეს ქვეყანა სამოთხე იყო. დღეს? დღეს კი მთელი ეს ქვეყანა მისთვის ჯოჯოხეთათ გადაქცეულა, დღეს ის ხედავს მთელ უსამართლოებას, მისი წინანდელი სიყვარულით და სიტკბოებით აღვსილი გული მრავალ იარებით დასერილია, ის აქმოსულა, რომ კაცის მკვლეელი გახდეს, მოუსპოს სიცოცხლე ადამიანს, რადგან ის სხვებს უსპობს სიცოცხლეს, დღეს ვანო საბედისწერო საქმეზე გამოსულა, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. შეიძლება ორი სათის შემდეგ მან სამუდამოთ დახუქოს თვალები ვანომ რაღაც არა ჩვეულებრივი ცვლილება იგრძნო, არც თუ შიშმა, არც თუ სიბრაღის გრძნობამ შებოჭა ის. ოჰ, ნეტა ერთხელ კიდევ ვიგრძნობდე იმ განვლილ ბავშურ სიამოვნებას, ერთხელ კიდევ დავსტკებოდე ცხოვრებით. საბრალო დედა! ვან იცის როგორ გულის ფანცქალით მიმეღის! ოჰ! ნეტა ერთი ეხ-



ლა მის ახლო დამსვა და მის, სიყვარულით აძგერებულ, გულზე მიმაკრა, მომასვენა, წუთით დამაფიქსა ყველაფერი! ოჰ, რა გამოუთქმელსაიამოვნებას ვიგრძნობ — ფიქრობს ვანო. ვინ იცის, იქნება ორი საათის შემდეგ სამუდამოთ დავბუტო თვალები, ვეღარ ვიხილო მზის სინათლე — გაიფიქრა მან და საშინლათ დანანდა სიცოცხლე, მის სახეზე უზომო მწუხარება გამოიხატა — ერთი უბრალო შეცდომა და ყველაფერი დაიღუპება. განა რათ უნდა გავსწირო ახალგაზდა სიცოცხლე? განა საჭიროა ვისთვისმე ჩემი სიკვდილი? განა ჩემი დაკარგვით გულ გაფათრულ დედის მწუხარებას შეუძლია ვისმემ მალამო დასდოს? არავის. მოვკვდები, გაივლის სულ ცოტა ხანი და ყველას დავავიწყებ. გავქრები ამ ქვეყნიდან, თითქო არც კი ვყოფილიყო. რამდენიც ახლოვდებოდა საბედისწერო წუთი ვანოს რაღაც არა ჩვეულებრივი გრძნობა იპყრობდა. მას არასოდეს არ მოსწყურებია ასე სიცოცხლე. მის ცხოვრებაში ბევრი ისეთი წუთები ყოფილა, რომ ის მზათ იყო თვითონვე თავის ხელით მოესპო სიცოცხლე. ეხლა კი ის ძვირათ აფასებდა თვითველ წუთს; სიცოცხლე მას სამოთხეთ ეჩვენებოდა. ის მზათ იყო ყველაფერზე, ოღონდ კი უზრუნველ-ყყოთ მისი სიცოცხლე. „დავბრუნდე უკან? გავიქცე?“ გაიფიქრა მან და შეეკრთა, შეეშინდა ამ საშინელი სიტყვების. „არა, არასოდეს, ტკბილია, ტკბილი ცხოვრება, ძვირათ ღირს სიცოცხლის თვითოული წუთი, მაგრამ ისმე არ შეკუთვნის, ჩემი მოვალეობაა დღეს — აქ გავსწირო ჩემი სიცოცხლე და შევასრულო ჩემი ვალი.“ გაიფიქრა მან და თავი გააქანა, თითქო უნდოდა მაცდურ ფიქრებისათვის თავი დაეღწია. „ოჰ, ნეტავი ერთი შავი მიხა მაინც გამოჩნდებოდეს სადმე! საკმაოა მისი ენერგიული სახეს, და გბრწყინვებულ თვალებს გადახედო, მისი მკვეთრი ხმა გაიგონო, რომ გამბედაობა გემატება, ენერგია გაისკვცდება. ნეტა ერთი გაივლიდეს და ერთს მაინც შეგხედავდე!“. გაიფიქრა ვანომ.

— ბიჭო, ვანო, რა ღმერთი გაგიწყრა, ხომ არ დაგეძინა? — ჩუმათ ჩაულაპარაკა მოსემ და გაანძრია. — სადაცაა გამოვა კიდევ და შენ კი გაშტერებული ხარ.

— რაღაც ფიქრებმა გაგიტაცა. ხომ იცო ასეთ დროს ათასი რამ მოგაგონდება კაცს.

— ეჰ, მეც ბევრი რამ მომაგონდა, მაგრამ რას იზამ ძმაო, მოვალეობაა. მოვედით აქ, — უნდა შევასრულოთ დავალებული საქმე და ცოცხლები წა-

ვალთ თუ არა, ეს არავისთვის საინტერესო არ არის.

— კიდევ ეგ არის სამწუხარო, ჩემო მოსე — ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა ვანომ.

— ეჰ, თავი დავანებოთ ამისთანაობაზე ფიქრს. აბა შეხედე რა ვაქრობა აქვთ მიხას და ვარლამს!

ვანომ გახედა იქვე შორი — ახლოს ვაშლებით მოვაჭრე კინტოებს. მარშლაც ვაჭლამ და გიგო გაფაციცებით თავს დასტრიალებდენ თავიანთ თაბახებს და გამვლელ-გამომვლელთ იწვევდენ ვაშლების სასყიდლათ.

მათი დანახვით ვანოს იმედი მიეცა, გათამამდა. მან იგრძნო, რომ ის მარტო არ იყო, მის გვერდით იყვენ ისეთივე თავგანწირული ადამიანები.

— ბიჭო, ვანო. — ფრხილათ წარმოსთქვა მოსემ და თვალი მიაშტერა ორ უცხო ადმიანს, რომლებიც ქუჩის მეორე მხარეს გაჩერდენ — როგორ ფიქრობ, ჯაშუშები ხომ არ არიან, აი იქ რომ დგანან ორნი. მე რამდენჯერმე შევამჩნიე, რომ ვიღაც საექვო პირებმა აიარ ჩამოიარეს! ღმერთი არ გაუწყრეს მაგათ. ბიჭო! ყოჩაღათ რყავი იცოდეთ თუ ღმერთი გაუწყრათ კურტანს უნდა ვეცეთ და მერმე კი მშობლობით.

ორივენი უცბათ ჩაფიქრდენ.

— ვანო! — დაარღვია სიჩუმე მოსემ — ვინ იცის, კაცნი ვართ, ყოველთვის უნდა მოველოდეთ სიკვდილს, მაკოცე ძმურათ უკანასკნელათ, თუ გადავრჩით, ხომ კარგი, თუ არა და უკანასკნელი კოცნა იქნება.

ორი თავგანწირული ადამიანის ათრთოლებული ტუჩები ქურღულათ შეეწყება ერთმანეთს.

უკვე თერთმეტი საათი გახდა. მოახლოვდა საბედისწერო წუთი. მოსეს და ვანოს გულმა ფართხალი დაუწყო, თვალები ჩაბერიებით სახლის კარებს მიაშტერეს. აჰა, ელიან გამოსვლას. უცბათ ვიღაცის მძლავრმა მკლავებმა შებოჭა ორივე, მუხბოუჭივით მოექცირა რამდენიმე ხელი. თითქო მიწიდან ამოძვრენო, მათ გარშემო რამდენიმე პოლიციელი და ჯარის კაცი გამოჩნდა.

— ააა, საზიზღრებო! სასოწარკვეთილი ხმათ წამოიძახა მოსემ, უკანასკნელი ძაღლონე მოიკრიფა და გაიწია, რომ ხელიდან გასხლტომოდა. მაგრამ რკინის ხელებს ის მაგრათ ყავდა შებოჭილი — მაშ თუ ასეა — წამოიძახა მან და რაც ძალი და ღონე ქონდა მაგრათ ფეხი დაკრა კურტანს. რაღაჲც საშინლათ დაიჭყქა, ახმაურდა, არახრახნდა, არია ყველაფერი, ჰაერში კორიანტელი ავარდა თან აიტანა ერთმანეთში არეული ადამიანის



სხეულის ნაფლეთები, მიწა ქვები, ჯოხები. დაიქეპა მკორემ, ამ საზარმახმამ გრივალივით გადაუარა ქლაქს, გაქანებული დაეშვა ტყე მინდრვით, რომ ეცნობებია ვანოს გულდამწვარ დედისთვის მისი შვილის ამბავი. დამფრთხალი ხალხი ქუჩებიდან გაიქცა, საფარი მონახეს. ქუჩები დაცარიელდა. ცოტახნის შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა, ყველაფერმა ჩვეულებრივი სახე მიიღო, თითქო აქ არაფერი მომხდარაო. ქუჩაში აქ იქ ეყარა დაგლეჯილ სხეულის ნაფლეთები. ცოტა მოშორებით ღობის ძირას ობლათ ეგდო, რაც მანქანებით გადარჩენილი ვანოს ქული.

შავი მიხა კი ამ დროს თავს ოთახში სრულიად კმაყოფილი აღებულ ფულებს სთვლიდა და სიამოვნებით ხათხათებდა...

**ირეთელი.**

**ჩემი ტადარი.**

მე ტადარი მაქვს ჩემს საღვთავათ  
 უცხო წაღკოტში ანაშენება  
 წარმტაცი გულის...  
 ნაშენებია მისი კედლები  
 ნაზ სიყვარული...  
 ჩემი სისხლ-ხორცი ერთად ნარგვი  
 მარადით გრძნეულს მოუხმარია,  
 თან გული წრფელი;  
 შიგ ჩაუქარგავს გონება ჩემი  
 და გრძნობა მწველი...  
 თითქული ქვა იმა ტადრისა  
 ჩემს გულის თრთოლვას ნათლათ ანახებს:  
 აზრის ფრთას გაშლას,  
 ტოკვას სხეულის, იღუმელ გრძნობათ  
 ჩურჩულით აშლას...  
 უტყუარი ის დიდებული,  
 ჩემი სისხლ-ხორცი და ჩემი გრძნობა,  
 ქვეყნის შეგნება,  
 დიდათ მტკერი, ცას მიწდამილი  
 ვით მოჩვენება...  
 და სატრფო ჩემი, ჩემი სიტოტხლე  
 ხატის მადიერ იქ მისვენია.  
 თვით სათნობა,  
 ჭყერფანია, უწიკვლო აზრი,  
 უმანკობა  
 მის სამსხვერპლას წინ-საკურთხეველში  
 საგმეველს უბევეს ჩემს დიად მიზანს,  
 ხელ აშერობილი

ვაქებ, ვადიდებ ციდან ღვთაებას  
 მე მიწის შვილი...  
 უუნს ვუგდებ ტურფას, მის გემრები,  
 მთელის ახსებით მისი ვარ, მისი-..  
 მეტყვის დაჯანება  
 და ვით გუნდრუკის კვამლი სურნელი  
 მუისვე გაჟკრები...  
 მეტყვის ჩანგს მოგროვ და ავაკენესებ,  
 მის გრძნობას, სურვილს ქვეყნის ვასშენ...  
 ვტკევი ხმებთ,  
 უტყვის და მეტყველს მოვევლინები  
 ფასკუნჯის ფრთებთ:  
 მსწრაფლ აკოტაცებ და იქ მივაფენ  
 ჩემი სატრფოს წინ თავდავიწეებულს,  
 იმ წუთს ბედნიერს  
 და ჩემებრ დავსწავ და დავანახებ  
 ტურფას, მშვენიერს.  
 და მხოლოდ იმას, თავდავიწეებულს,  
 ადგილს მიუხენ ტადრის ბჭეში ..  
 მიწას ვაწვევი  
 კვლავ, ტანჯულთ ვსძებნი, გარს შემოვიკრებ,  
 ეელს მოვეხევი,  
 გულს ჩაუძვრები, დარღს გაუქარგებ  
 და მწრე აწმუის სულ დავაწეებ,  
 მის გაფასრებ...  
 ჩემი ტადრისკენ, წაღკოტს დგომულისკენ  
 მსწრაფლ ვაგაქარებ...  
 და ასე უღერით ჩანგის სიმებზე,  
 ჩემს ტადრის კარებს ვეველას გაუღებ  
 ვინც მე მიწამებს,  
 ვაღვრებ ჩემს ხატს, განვადრევირებ  
 ბედნიერ წამებს ..  
 „ჩვენ შენ გტირითო!“ თქვენა სთქვით ეს?  
 ახ! მეგობარნო! თქვენ სცდებით მწრეთ!..  
 ვის გაგონია ამ დროს ტრემლები,  
 ხელთა დაკრეთა აგრე მწუხარეთ?  
 ხომ ხედავთ აზრი ჯერ ცხოველია  
 და საგულეში გული მითრთოლვას,  
 ცეცხლად ქცეული, ნაპერწკლის შკვესი  
 გრძნობა მიშფოთავს, გრძნობა მიქროლავს..  
 მაშინ მიტრეთ, მივეწეს-მიგლოფეთ,  
 თუ ჩემი ქნარი ძირს დავანარცხო,  
 ვერ გემსახურე ჩემს სატრფოს გრძნეულს,  
 ჩემი ტადარი ვერვის ვანახო...  
 ეხლა კი, ეხლა უკან მომევივით,  
 უური დაუგდეთ ციურ სიმღერას,



გზა თუმც კავრძედეს, ნუღარ შედრკებით, დარდი მიეცით ჩემს ჩანგის უღერას...

ვ. მალაქიაშვილი

ფსიხალი დარაჯი.

ხაწეს მამა, ბუღაკა ბორჯაშვილი, მეტად გამორჯელი და შრომის მოყვარე კაცი იყო; განთიადიდან დაღამებამდე, მისი მუხლი არ ჩაიკრიფებოდა.

პანკისის ტურფა ხეობაში, რომელსაც კავკასიონის მთაგრეხილიდან გამოზიდული მკლავები გარს შემოხვეოდა, იგი ჯოყ-ლოს მეკომურთა შორის, პირველ ოჯახიშვილად ითვლებოდა. ქისტებში კი, რომლებიც შამილობის დროს ჩერქეზეთიდან კახეთის სამზღვრებს შემოხიზნოდნ და ბარის ყოფა-ცხოვრება არც ასე რიგათ ეადვილებოდათ, - ოჯახიშვილობა ბევრს რასმე მოაწავებდა.

ვიწრო ხეობაში, რომელიც უზარმაზარ დევებივით წამოწოლილ მთის მკლავებში, ლურჯ, დაჩითულ სუფრად დაფენილიყო და გაუვალ ქალიდან ქისტების მარჯვენას დავაკებულ, ტურფა ველად გადაექცია, ალაზნის პირად იყო გაშენებული სოფ. ჯოყ-ლო; სახან-სათესი ხოდაბუნები კი, ჩრდილოეთის მხარეს შევარდნილ, ქობიოს ხევისაკენ გადაეშავებინა.

იქ, ხევის კულაძდე, ყანებითა და სიმინდით ამწვანებულიყო ფრთა-დაშვებული, პირის მზას ხეობიანი კალთობები და მალლობიდან, დე-ვა-ლილივით გადმოსცქეროდნ თავის ბატონ-პატრონ, მოჭირნახულე სოუელს.

ხევის გაღმით, ჩრდილიანში, სადაც ამომავალი მზე განთიადის თუ მოავარაყებდა, მკლავ-მოხრილ მთის, აყრილ-ტყიან კონცხებს, დაკმაჰნილათ ჩამოსდევდა ურიცხვი, პატარ-პატარა ღრანტე ხეებ, მაყვლის ბუჩქნარით წაბარდნილი.

აყრილ ტყის გადახლარულ ტოტებ ქვეშ, თეთრად გადაპნტილიყო შტო-დახრილი, დაკუნწულული ჟონჯლის ხეები და ჩრდილის გრილ სიოს სურნელოვანის ბგერით აზავებდა, ჩამოჩანჩქარე ნაკადულები მიუწოდომელ ბუნების ფეთქვას იღუმალ ზღაპრებს უტიტინებდნ.

ძირს, შუა ხევში, წარაფებქვეშ ჩაჩრდილული ხევის წყალი მოსჩქებდა, შ გ ირთავდა დაშვებულ მთის ნაკადებს და მქადა ქვის ნამტვრევ, მოთეთრო ქვიშნარ ნიადაგში, ადგილ-ადგილ იკარგებოდა რომ ქვემოდ ისევ ამოეყო საღმე თავი და თავისი დაუსრულებელი ჩხრიალი განეგრძო წისქვილის წყლის შესართავამდე.

გაღმა-გამოდმა, მიმდვარ ტყეში, ურიცხვი ნა-

ღარი ბუღობდა: ცქეტი კურდღელი, თუ სხლარტი შველი, ტლანქი დათვი, თუ კისერ-გაშეშებული მგელი, წუწკი ტურა, თუ გაიძვერა მელი; კვერნა თუ მაჩვი, ციყვი, თუ თრითინა—ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ მიმყუდროებულ ტყის სამეფოში.

ხანდისხან ქობუდიანი ირემიც გადაქროლებდა მთის ქედზე, ყვირილობის დროს, ან დიდ თოვლობას, საღმე მონადირის მიერ დამფთხალი. გაზაფხულზე-კი გუნდი და გუნდი წეროებისა ათევედა ღამეს მთის რომელიმე მოტვლებილ, ხავერდ გადაკრულ, კეფაზე.

ყელქედანა მტრედი, თუ ნაზი გვრიტა, ღჯღუნა დოია, თუ მოუსვენარი შაშვი, ტყის-ქათამი, თუ სავათი, ბოლო-ცეცხლა, თუ ღობემძვარალა, კოდალა თუ ნიბლია, დუღუნ-სტვენაში და წრიბინ-კივილში ეცილებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და ოფოფის დახილზე, თუ გუგუდარს გაოცებულ კითხვაზე პასუხს აძლევდნენ.

ასე იყო ხოლმე გაზაფხულის დარიან დღეში, განთიადისას და მზის გადახრის დროს; მაგრამ ეხლა, მკათათვის მიწურულებში, როდესაც ბუღაკას ჩრდილის მხარეს საქონელი ამოერეკა მოსაძოვებლად, - ჯერ ისევ ხშირი ღამე იყო და ტყესაც ეძინა ნებიერის, შეურყიველის, უზრუნველის ძილით.

ჩამოღუშული ცა მაგრად შეკრულიყო და, გარინდებული, უძრავად იდგა, ტყიც სდუმდა. ჰაერი შეჩერებულიყო აქ, ხევში; ხოლო ბაბაყულივით შავად აყუდებულ სპეროზიის ბუმბერაზ ქოჩრიდან მოჰბერდა ცივი სიო და დურა ტყავში გახვეულ ბუღაკას გაღვიღლ, ბალნით დაბურულ მკერდზე უსისინებდა.

ის კი, მხართემძოზე წამოწოლილი, ფიქრებში წასულიყო და ნებიერათ აბოლებდა მოკლე ტარიან, გამქვარტლულ ჩიბუხს. ფიქში წასულიყო, ბუღაკას მუთაქად გამხდარი, შავი ტონის ქვაც, ისე აზიზათ, ნაზათ, ისე სათუთათ ფურჩულებდა ჯადოსანი ბუნება, თითქო ეფიორის ქანაობაში სუნთქავს და ბუღაკას მახვილ სმენას რაღაც საიდუმლოებას უმაღავსო.

ძირიდან კი ხავს-გადაკრული, ნესტიანი დედამიწა სუნთქავდა და თავისის ნაორთქლი მარგალიტებით ჰქარგავდა ბალახბულახობის ძირითა ფოთლებს. ბუჩქებში მიმალულ ყვავილთა სურნელება, ტყის სიგრილე, სპეროზი-ს სიო, დედამიწის შმო-რიანი სინესტნ და მთის ჰავა ერთმანეთში შეზღვილიყო.

ისვენებდა მყუჩებული ბუნება, იცოხნებოდა ფერდამოდებული საქონელი, ჯანს ასვენებდა დურა ტყავში ჩაფუფნილი ბუღაკა და თავისი ხვრინვით



ბანს აძლევდა ახლო-მახლო დაყრილ ზაქების ზანტ ცოხნას.

\* \*

მარაგმა ცამ უკვე გაიღიმა ურთნალის ქედზე და თეთრი, ქარქარა კბილები გამოაჩინა.

უზარმაზარ, მწვანე ვეშაპივით გძლად გაქმულყო ჯაგარ აშლილი ურთნალის ქედი, უშველბელი, გაბტყელებული თავი სპეროზიის გასწვრივ, კავკასიონის მთაგრეხილში ჩაეხალა, ბოლო კი ალაზნის დასწვრივ გაეშოლტა ილტოს შეს რთავამდე. ირეჟრაჟა. ძირს, ველად გაშლილი, მიძინებულ სოფლის კრამიტის სახლები და ჩალური ფიცრულები ნათლათ გამოჩნდა.

ხევ-რუფებში და მთელს ველად ჩაწოლილი ჯანლი მთის კალთობებზე მიცურავდა.

ბირკინას მარცხნივ, ჯოყოლოს ზემოდ, აყუდებული ბურუსში გახვეული მთები ღრუბელთა სამყაროს ემსგავსებოდა.

სპეროზ-ას კი, რეგლივ ჯანდ-ბურუსით გარშემორტყმულ სპეროზია-ნისლი ჯერ არ მიჰკაებოდა, — ალბად ერიდებოდა მისი სიდიადისა, — და, სალკლდოვანი, შიშველი, ჟანგაროსავით ჩაშავებული, დასერილი თავი ზღაპრულ დევვით ამოიყო ღრუბელთა ზღვიდან.

გარდვიდა ტყემაც. წითელ-ნისკარტა შაშვი რა ხანია ქებათა-ქებას უგალობდა ამომავალ მზის პირმშო სხავებს და მოუსვენრათ ერთის ტოტიდან მეორეზე ხტოდა. მას ბანს აძლევდა ჩხავანა ჩიკვა (ჯაფარა), კაქკაქაც რაღაც დახარხარობდა, ნეტავ ბულაკას უმკითხავებდა საწყენს, თუ რასმე გასახაროდა.

ბულაკა ამ შიგნართულმა სამთა შემოძახილმა გამოაღვიძა. წამოჯდა, გაიხშორა, მიიხედ-მოიხედა, სწორედ იმის ახოს თავში გაჰქონდა ფრთოსან მაცრიონს ერთი ამბავი.

— წავიდე, ბარე, სიმინდს დაქხედო! — ჩაალაპარაკა მან და წამოდგა. საქონელ წამოშლილიყო და წვრალ ჯავანში ლაწა-ლუწი იღვა.

მან ტყავი მხრებზე მოაგდო, ბერდანკაც გაიყოლა და ხევის პირად ჩავიდა. დაიბანა ხელპირი, „ნამაზიც“ გააკეთა და მზის პირის ფერდოფს შეუდკა. მალე გადასერა საურამე გზა და სიმინდებში შეტრია.

დანამულ სიმინდის ხასხასა, გადმორკალულია ფოთ-ერთმანეთს ესალმებოდნენ და შრიალი გაჰქონდათ, თავფუტქეჩოებს კი მაოი-მალ ღუნავდნენ, თითქო თავის მოამაგე ბულაკას თავაზიანის ზრდილობით ეგებებიანო.

ახოს თავში, მიმდგარ სიმინდის ზემოდ, და-

ბალ ჯაგან ტყის პირას კი სამთა შემოსახულს ერთი ამბავი გაქონდა. გამწარებით ფრინავდნენ ერთი ბუჩქიდან მეორეზე და იღვა ჩხავილი და ქახქახი. რაღაც ამბავი იყო ამათ თავს.

იქნება კურდღელ გამოხტა ნამიან ბალხზე საკუნტრუშოდ და ჯაგის ძარას დატუტქეხული, ძირს ფეტვიანს უთვალავალებდ? იქნება მგელს ჩასძინებოდა, ღამე-ნათრეგს, ან მელია ბრუნდებოდა ნადირობიდან? იქნება ბურტყუნა დათვი ესტუმრა თავის საყვარელ, ტაროდაყრალ სიმინდს, უზომოზე პირის გასასველებლად, ან მეძროხე ბიჭები წამოჰპაროდნენ ბულაკას სიმინდს, — უბეგბს იძეკავდნენ ნედლ სიმინდის ნაშტურევ ტაროებით და ეს ტყის მუღმივი დარაჯი — ფრთოსნება საშველად იწვევდნენ სიმინდის პატრონს?! ვინ იცის! რაღაც ამბავი კი იყო იმათ თავსა და.

— ჩხვაა! ჩხვაა! ჩხვაა! — დაიჩხავლა კიდევ ჩხიკვა უგემურათ, ტრიფის შიგნით ტოტზე გადაფრინდა და, კისერგაგძელებული, შელოცვილივით გაიტვრინა.

— ქახ-ქახ-ქახ-ქახ-ქახ! — ჩაარაკრაკა შაშვიმა მომავალ ბულაკას რომ თვალი მოჰკრა, თითქო რაღაც ამბავი გაუზიარა მკაფიო გამოთქმითაო და თბილ ნარში ჩაეფარა საუზის სასუსნავად.

კაქკაქი კი ზემა ფერდობის ტყეს შესდევდა გაშმაგებული ჩხავილით. ბულაკამ შემოუარა სიმინდს და კმაყოფილებით იღიმებოდა.

— ჰეი, დალოცვილი, შარვანის კატრავით არ დაუგძელებია ტარო! — ჩაილაპარაკა თავისთვის და ცქერით ვერა ძლებოდა. იგი უკვე ვარაუდობდა მოსავლის რაოდენობას და ეხლა კი ბეჯითად გადასწყვიტა, „ნიკორა“ ზაქისთვის მეუღლე ეყიდნა-

— ფუჩეჩი ცავსაყრელი გვექნება, ღვთისით, — დაუმატა მან და ზევით გასწია. მალე ავიდა ბულაკა სიმინდის თავში და ერთბაშად გულნატკენი შეჩერდა, შემფოჯებით მიიხედ-მოიხედა: სიმინდი გაქელილი და გადაქმული ნახა.


ნორჩი, წყლიანი ღეროები ჯერ ისევ იცრემლებოდნენ. აქა-იქ ფუჩქევშ ჩაყელილი ფოთლების ნაფლეთები და გაკმეჩილ სიმინდის ტაროები ეყარა.

— ოიშეე! — წამოიძხა ბულაკამ სიბრაზით და უმადურათ გააქნა თავი.

— ი, ვერანა დათვა ჩამოჩვეულა! როგო დაუტორია ამ სატალოს აქაურობა!.. ნწ! ნწ! ნწ! ნწ!.. — ვიშვიშებდა იგი და გაკმეჩილ ტაროებს ხელში ატრიალებდა.

— კიდევ ამისთვის ჰახქახებდა ი შაშვი! — ამ ლაპარაკით მიდგა-მოდგა ბულაკა და, სიმინდის თავ-





ში რო დათვის კვლიც ნახა, უფრო მოეკიდა გულზე ცეცხლი.

—აჰი, აგიტირებდა დედას, თუ წამომესწრო! —გულის მოსაფხანად წაილაპარაკა მან და ბერდნკის კონდახს ხელი მოუცაცუნა.

— ეჰ ამალამ კი რაღა იქნება, ქირა უნდა ჩავიტანო ახმეტაში და ხვალ ღამე კი დაუყარულდები! არ იქნება, რო არ ჩამოვიდეს! — გადასწყვეტა ბუღაკამ, გულნაკლული თავივე დაეშვა, ხევისაკენ და ზაქები სოფლისაკენ გაირეკა.

ზღაზღა და კუდების ქნევით მიიზღაზღაბოდა მცხა ხუთი ზაქი. მათს მომზირალ ბუღაკას, კიდევ გადაავიწყდა დათვის ონავრობა.

მისი საყვარელი „ნიკორა“ მდევითა მიიბიჯებდა ტლანქ ფეხებს და მსხვილ, კვერცხის ტულა, მოელვარე, შავ თვალებს საყურთან გველამაშის თვალისფერ ატრიალებდა; ხან უგეჟურათ შეიკუნტრუშებდა, გიჟვით დაიქნედა თავს, თითქო საჭიდაოდ ემზადებოდა და წინ მიმავალ ფურ-ზაქებს ხან ერთს წაეგლასუნებოდა უშნოთ, ხან მეორეს — ბურანაობის გუნებაზე იყო.

აჰ, ბუღაკამ შერეკა ზაქები, ძვირ-დაყრილ ყოროთ შემოვლბულო, ფართე ეზოში და ეზოს კარს ურდული (ხარხა) გაუგდო. ეზოს სიღრეში, ცალსართულიან ფიცრულის მაღალ დირესთან გადმოყარა სამი-ოთხი ნატეხი მარილის ქვა, რომელსაც ზაქები ხარბიანის წინთ ხარბათ ლოკავდნენ ბუღაკამ დერეფნიდან შესძახა:

— ხაწეე!.. აჰაი, ხაწეე!.. ბიჭო!.. ადე, შვილო, ადე რაღა დროს ძილია! ქვეყანა დოვლათით აივსო!.. ადე, ერთი მომგზმარე!.. — იგი იქვე დირეზე ჩამოჯდა და ქალმანის თასმებს ასწორებდა.

მალე დაქრიალდა: ტლანქი, წითლათ შექვარტლული, კაკლის ცალფა კარები და ჩმუჩნით გამოვიდა მისი ოცდ ორი ოცდასამის წლის ვაჟი, კოჭლი ხაწე: გაღელილი გაღმომლილ პერანგით, ახალუბში ცალხელ ვაყრილი, ფხშაშველი, განიერ შარვალ ჩამოშვებული. მალე გასაპნეს ხე-ტყით დატვირთული ურემი, სასაპნე საგზაოდ გაამზადეს და ურემის ქალაზე ჩამოჰკიდეს. შეაბეს ორ-უღელი ზაქი.

იოყამ, ბუღაკას მეუღლემ, შავმანდილ მოსხმულმა, გამოიტანა ბუღაკას საგზალი და ხურჯინით ურემის კოფოსთან ქალზე დააკრა. ხაწემ ეზოს კარს სამივე ურდული გამოუყარა. ბუღაკა უკვე ურემის კოფოზე შეხტა და გულმა ვეღარ მოუთმინა.

— დედაკაცო, ჩვენ სიმინდში ისევრანა დათვი ჩამოჩვეულა და თუ არ გავაფთხეთ, სუ გაანადგურებს იქაურობას! — თან ზაქებს შოლტი გაუტ-

ულანა. ურემი ქრიალით, ზანტათ დაძრა და მალე სახლს იეფარა.

(დასასრული იქნება.)

### ტ ა ლ ლ ა.

ზღვის ტურფა მკერდი ქარმა მოქებნა ბინძური ფრთებით დაუწყო ხევა, და სიყვარულის ჭხვს უხეველამ ძღვნად მუტანა კრულვა და წყევა. ზუზუნში ბრძოლის ცეცხლი ჭღვოდდა სიყრამოდ მთლად ადკვნებული, და შეუდრო ბანა ცელქა ტაღდას მტრის წინ გარდიქმნა აქაფებული. სარეცელს ხელა შეუხეს ტაღდას იგი სავანედ მსსტაცეს მასა, რასთვის? — ეს კითხვა დაუძმობადდა სამარადისოდ სდეგს გულის თქმას!..

თავისუფლება სიამე, შვება ვით დაითმობა ვიდრე ჭფეთქს გული, რომ იგი მოჭკადეს სიტყვების მკერდში სიმარეს ჭხვებს თვით სიყვარული... და ტაღდა წენანი მთლად სათნოება მშვეენების თვალთ, სიტურფე მარად, ქარის ზუზუნა რომ მოიგვიჯოს ბრძოლად მიიწეეს შეუხეგარად. იგი იბრძოლებს და ბრძოლის შემდეგ ვარსკვლავთა კშვასს იხილავ კვლად ქარი სუღს დადეგს, დრუბელთა გრგავც გაითანტება, — ესა სდეგს ვაღდა!..

სიკვდილზე ფ ქრა გრძობას შხამს ასხამს სიტყვებზე, სიტრფო, დასტოვო უნდა, ვიღაცას ხელით სადაცა საუღავს გადაეერება უხვად ქვა-გუნდა. და ნეტავ ტაღდას რომ ეს კანონი ვერ დაამონებს მის ტურფა რხევას, მთვარის ელვარი, ვარსკვლავთ ციმციმი მარადის იმას უწეუბენ ხევას...

სულ, სულ იცავტხლებს, ბრძოლისა ვეღად ის არ განცდის დამარცხებასა, და ძღვეის დრომას თვით იქ ადმართავს, სად ხელს უხლებენ სურვილ-ნებას!..

რ. ლეჩხუმელი.



# რუსულ ხალხში მეცნიერების ისტორია.

(გაგრძელება. იხ. „სხივი“ № 2).

ამ გზით უნდაღათ აეყვანათ მაღალა კედელი ევროპასა და რუსეთს შუა. საჭირო იყო რუსეთის და ევროპის საჩქაროთ დაშორება. ამ გვარათ ნიკოლოზის ეპოქამ არა თუ საფუძველი მისცა ყველა იმ იდეას, რომლითაც დღემდე სკოცხლობს რუსეთში **ლიტერატურა**, არამედ მან თეორეტიული იარაღიც მოუპოვა, რუსულ პოლიტიკურ კონსერვატიზმს.

ერთ წერტილზე გაჩერებას, შეფერხების იდეალათ სთვლიდენ. „ჩვენ ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის ხალხი—განაცხადა სახალხო განათლების მინისტრმა გრაფმა უვაროვმა—გამოუსვლელ მდგომარეობაში ვართ; ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, როცა პოლიტიკური ზღვა აბობოქრებულია და მძლავრათ ისვრის თავის ტალღებს. ხალხები იცვლიან თავიანთ ზნე—ჩვეულებას, ახლდებიან, წინ მიდიან. აქ არვინ მათ კანონებს არ უწერს, მაგრამ რუსეთი ჯერ ახალგაზდა, უმანკოა და არ უნდა იგემოს ეს საშინელი არეულობა. უნდა ვეცადოთ დიდხანს გაგრძელოდეს მისი უმანკობა და ამავე დროს აღვზარდოთ ის. აა ჩემი პოლიტიკური სისტემა. ჩემი მოვალეობა მარტო ის არ არის, რომ თვალყური ვადევნო სწავლა—განათლებას, არამედ ხალხის სულიერ მდგომარეობასაც. მე რომ შეეძლოს 50 წლით უკან დავახვეინო რუსეთს იმისგან, რასაც მას თეორია უწიადებას, მე შევასრულებ ჩემს მოვალეობას და გულდამშვიდებით მოვკვდები. აი ჩემი **თეორია**“

ამ გვარათ „წინ სვლა“ ცნობილ იქნა როგორც რუსეთის ნაციონალურ მოთხოვნილების შეუდარებელი, ყოველ შემთხვევაში სტყვა **თეორია** მაინც წარმოითქვა, თუმცა **თეორიით** აღიარებული იყო ყოველივე თეორიის უარყოფა. არა თეორიის დედა აზრი იყო—რომ რუსეთი განსაკუთრებული სახელმწიფოა, რომ სხვა უფროს ხალხთა განვითარების ისტორიული კანონები, მისთვის მაგალითი არაა, ეს უარყოფითი დედა აზრი სფუძვლათ დაედვა ოფიციალურ ხალხოსნობას. ეს თეორია მაღლა აყენებდა რუსეთის ხალხს, ის ხედავდა რუსეთის ხალხის ორიგინალობას ყოველივე პროგრესიულ მოძრაობასადმი სიძულვილეში დახმავებული დახვრემილს წესების ერთგულებაში.

რას უპირდაპირებდა ოფიციალური ხალხოსნობა დასავლეთს რუსეთის ხალხი ორიგინალურ

თვისებებს-სახით? რუსეთის ხალხს სარწმუნოების მხრით არ გამოუცდია ის შეწყვეთა, რაც განიცადა დასავლეთის, საზოგადოებამ მართმადიდებლობა რუსეთის ხალხის უპირველესი ბურჯია. მან არ იცის სექტენტობა და სხვა ამგვარი სარწმუნოებრივი განხეთქილება, და თუ ნამდვილათ ცხოვრებაში სულ სხვა ხდებოდა თეორია თვალს იხვევდა და არ უნდა დაენახა ყველა ეს, რასკოლს ის უნებლიეთ შეცდომას ეძახდა და დარწმუნებული იყო, რომ პოლიტიკურ ზომებით შესაძლებელი იყო მისი აღმოფხვრა.

პოლიტიკური მხრით ასეთივე შეურყვეველ ბურჯათ ითვლებოდა თვითმპყრობელობა, რომელსაც ოფიციალური ხალხოსნობა ისე უყუტებდა, როგორც პოლიტიკურ—ბიუროკრატულ დაწესებულებას. აქაც რუსეთს უპირდ პირებდენ დასავლეთს, არა როგორც ორიგინალურ წეს-წყობილების მქონეს; სადაც შესაძლებელი იყო საზოგადოების ძალთა ზრდა-განვითარება. თვითმპყრობელობის პრინციპის შეურყვევლობის თეორია ამტკიცებდა, რომ რუსეთის ხალხს მოთხოვნილება არ ქონდა, არ ქონდა პოლიტიკური პატავ-მოყვარეობა, საზოგადოებრივი ინსტიტუტი და მართვა გამგეობისადმი მისწრაფება. ამ გვარათ რუსეთის პოლიტიკური ორიგინალობა გამოიხატებოდა მის უმოძრაობაში და პოლიტიკურ უმოქმედებაში. აი ეს თვისება დაედვა საფუძველათ მესამე პრინციპს—ხალხოსნობის პრინციპს. არსებითად ეს მესამე პრინციპი იგივე იყო, რაც ორი პირველი. რას გულისხმობდენ მასში, ამას ყველაზე ნათლათ გვაჩვენებს სახალხო განათლების მინისტრის მიერ გამოცემული ცირკულიარი სამოსწავლო ოლქის მშურწვევებისადმი 1847 წლის 27 მაისს. ამ ცირკულიარში ნათქვამია: რუსეთის ხალხის სიწმინდე უნდა გამოიხატოს სარწმუნოებისა და თვითმპყრობელობისადმი ერთგულებაში, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, რაც ამ საზღვარს გადადის არის ფანტაზიის ნაყოფი და რომლითაც ბოროტ-მოქმედებს უნდათ გაიტაცონ ოცნების ხალხი“. რუსეთის ხალხს ავალდებდენ მართლ-მორწმუნოებას და სიმშვიდეს. ხალხის ცხოვრების ქვაკუთხედათ ბატონ-ყმობას აცხადებდენ. რუსეთი ჩამორჩა დასავლეთის მეცნიერებას და ამაში მის ბედნიერებას და ორიგინალობას ზედავდენ, რადგან დასავლეთის მეცნიერება და ფლოსოფია ძირს უთხრიდა სარწმუნოების და მთავრობის ავტორიტეტს.

რუსეთი დღემდე ვერ განთავისუფლდა მონობისაგან, მაგრამ ეს მისი ბუნებრივი თვისებაა, ეს სავესებით შეეფერება რუსეთის ხალხის სულიერ მდგომარეობას. რუსეთის ხალხი არ საჭიროებს თა-



ვისუფლებას, მას არ სურს თავი დაახწიოს პატრი-  
არქალურ წეს-წყობილებას, რომლის დროსაც მე-  
მამულე თავის გლახების მამა—მფარველია. რუსე-  
თის ხალხს უფლება არა აქვს ხმა ამოიღოს როცა  
მას ბედ-იღბალს სწყვეტავენ, მაგრამ ეს იმიტომ  
რომ მას არ უყვარს ბატონობა და თავის ნაციო-  
ნალურ მდგომარეობით თავის თავზე აბეჯენს სპი-  
როებს. ერთი სიტყვით აზროვნების და ცხოვრებას  
პატრიარქალური წეს-წყობილება, რომელიც გაი-  
არა ყველა ხალხმა, რუსეთის მუდმივ შეურყეველ  
წეს-წყობილებათ იყო აღიარებული, იმიტომ რომ  
ასეთი წეს-წყობილება დიდ ხანს გაგრძელდა რუ-  
სეთში, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. თუ სინამ-  
დვილე აქაც დრო და დრო არღვევდა ამ თეო-  
რიის წესიერებას, თუ გლახთა ბუნტები, მემამუ-  
ლეთა ხოცვა-ჟლეტა და შიმშილობა ეწინააღმდე-  
გებოდა პატრიარქალურ წეს-წყობილებას შეხედუ-  
ლობის თეორია, ამას ისე ხსნიდა, როგორც არა  
ჩვეულებრივ მოვლენას, კერძო ბოროტმოქმედე-  
ბით გამოწვეულს. როცა სინამდვილე მუდამ აღარ  
თავსდებოდა თეორიის ფარგლებში და ცოცხალი  
ფაქტები ამკარათ ამბობდნენ რომ ქედის მოხ-  
რა და მონობა რუსეთის ხალხის შეუცვლელ თვი-  
სებას არ შეადგენს, თეორია ანგარიშს არ უწევ-  
და ამ ახალ მოთხოვნილებებს. ის ამბობდა, რომ  
საჭიროა ამ მოთხოვნილებების მოსპობა. უკეთუ  
ნაკლულოვანებები არის ეს იმიტომ კი არ  
არის, რომ კანონი და დაწესებულებები არ ვარ-  
განან, არამედ იმიტომ, რომ ამ კანონებს არ ას-  
რულებენ. ხალხის გასასწორებელი საშუალება უნ-  
და იყოს სასტიკი თვალყურის დევნება და  
წიგნების სასტიკი ცენზურა და სხვა. ერთი  
სიტყვით ფეხ ქვეშ გააეღო ხალხს ურჩევდნენ  
აღმოეფხვრათ გულიდან უკეთეს ცხოვრებისადმი  
უკანასკნელი ლტოლვილება, თითქმის კრიტიკის  
განზრახვაც კი. თვის შეუცთომლობის უმთავრეს  
სახუთათ სიტყვა აყენებდა რუსეთის გარეგან სი-  
ლიადეს და სიძლიერეს. ვეპირთელა ტერიტორია,  
მისი ჯარებით გამოწვეული შიში, შინაური მშვი-  
დობიანობა და სხვა ყველა ეს ოჯიციალურ ხალხოს-  
ნობის თვალში იმის დამამტკიცებელი იყო, რომ რუ-  
სეთი ბერათ სჯობნიდა დასავლეთ სახელმწიფოებს.  
ჩვენ უკვირ დავინახეთ როგორ ეთხრებოდა ძირი  
სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, როგორ ყალბი  
იყო ეს მოჩვენებითი მშვიდობიანობა და სიძლიერე,  
ჯერ კიდევ ყორიმის ომამდე, რუსეთის უფრო შორ-  
სმკვირვრელი მტრები ამბობდნენ, რომ რუსეთი  
„თიხის ფეხზე მდგომი გიგანტია“.

(შემდეგი იქნება)

# ს ს ი პ ი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხოვნები (რო-  
გორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები,  
კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახალში-  
რელი, ბ. გელა, ქ. გოგოლაძე, ივ. გამარტელი, ნ.  
ზამბლაძე, მ. იასიანი, ზ. ირეთელი, ა. ლაღიანი,  
ლეო, რ. ლენხუელი, ვ. მაღაქაშვილი, ი. ნიკოლაი-  
შვილი, ა. რაქანიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ.  
რუშაძე, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

### ჟურნალი ელირება:

ერთი წლით —	—	5 მან.
ნახევარ წლით —	—	2 მ. 50 კ.
ერთი თვით —	—	50 კაზ.
თითო ნომერი —	—	10 კაზ.

**ვინც მთელი წლით გამოიწერს და იანვრის გასვლამ-  
დე სრულად შემოიღოს ფულს**

**პრემიათი ბავშვანება სტავროპოლის მოთხოვნა სახ-  
ლი ვოლგის ნაპირზე**

**წიგნი ხელის მომწერლებს თებერვლის დამლევს  
დაურთავებთ აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფ. სოთ  
გაგზავნება.**

რედაქციასთან მალაშაძეებს და აგრეთვე ჟურნალის  
გამწერს შეიძლება თბილისში: სლეპტოვის ქ.  
გერაზე სახლი № 1. „გუტტენბერგის“ სტამბის  
კანტონში დიდის 10 საათიდან 3 საათამდე და სა-  
დამის 5-7-მდე.

„მომავლი“ ს რედაქციაში ბ. კასანდრევიანს წიგნის  
მალაშა „ალიონში“. ვასილ გადილიასთან კიროსნი ქ. № 9.

### ქალაქ გარეთ:

**ქუთაისში**—წიგნის მალაშა „იმერეთი“ ი. კვი-  
ცარიძესთან.

**სამცრედიაში**—რკ. გზის შკაფში ე. კაპაძე-  
შვილთან.

**ჭიათურაში**—მასწ. ვ. ხურაძესთან.

**ბათუმში**—რკ. მზის შკაფში გ. მხარაძესთან.

**ოზურგეთში**—წიგნის მალაშ. მ. თაღაჯაძესთან.

**ჩოხატაუ-ში**—წიგ. მად. ს. თვარტიაძესთან.

**ხიდიხთავში**—ე. ლომთათიძესთან.

**სად აჯიკაბუღში**—ვარდენ ეიფიანთან და რკინის

გზის უკაფა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ აღრესით  
უნდა გამოიგზავნოს: **Тифлисъ, Типографія Гут-  
тенбергъ, уголъ Ольгинской и Слѣповской ул.  
№ 1. Полиевкту Антоновичу Каландадзе.**